

ქალაქ ქუთაისში, ნიკვას ქუჩის პირველი შესახვევი N12 საცხოვრებელი სახლის N70 ბინაზე, მოქალაქე დავით ფარქოსაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და მოქ. დავით ფარქოსაძის განცხადებების (2014წ.17.09.Nფ-7369;29.08. Nფ-6863) თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ქუთაისში, ნიკვას ქუჩის პირველი შესახვევი N12 საცხოვრებელი სახლის N70 ბინაზე საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე დავით ფარქოსაძეს /3/5 N60001104694/.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /ი.გაბრიჭიძე/ ქალაქ ქუთაისში, ნიკვას ქუჩის პირველი შესახვევი N12 საცხოვრებელი სახლის N70 ბინაზე, საერთო ფართობი 97,08 კვ.მ, მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 53,86 კვ.მ. დამხმარე ფართობი 43,22 კვ.მ. მოქალაქე დავით ფარქოსაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურდულია